ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა

საჩჩევი

I. შესავალი 3

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია 5

II. სამართლებრივი ჩარჩო 8

III. სიტუაციის მიმოხილვა 10

IV. სტრატეგიული ხედვა და სამოქმედო პრინციპები 14

V. სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები 15

სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება 15

სტრატეგიული პრიორიტეტი 2. ინსტიტუციური გაძლიერება 17

სტრატეგიული პრიორიტეტი 3. ტექნოლოგიური განვითარება 18

VI. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 19

I. შესავალი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომლის **მისიაა** საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადება და ჩატარება. აგრეთვე, დემოკრატიული საარჩევნო პროცესების განვითარება და განმტკიცება, სადაც დაცული და გარანტირებულია აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების თავისუფალი და შეუზღუდავი რეალიზაცია.

საარჩევნო ადმინისტრაცია მისიის განსახორციელებლად ამტკიცებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს. წინამდებარე დოკუმენტი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მეოთხე სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ინსტიტუციის ახალი ხედვა და განვითარების მიმართულებები. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმა კი მოიცავს აქტივობებს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

2022 წლის 22 დეკემბერს, საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რომლებმაც ახალ საარჩევნო რეფორმას ჩაუყარა საფუძველი, საარჩევნო ადმინისტრაცია დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე, რამაც გააჩინა 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის გადახედვისა და ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების საჭიროება.

სტრატეგიული გეგმა შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების, ჩატარებული არჩევნების ანალიზის, მოქმედი სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

გეგმა შემუშავდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით. გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობით.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად განისაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების ხედვა და შემდეგი სტრატეგიული პრიორიტეტები:

- ✓ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება
- ✓ ინსტიტუციური გაძლიერება
- ✓ ტექნოლოგიური განვითარება

საარჩევნო ადმინისტრაცია გამოიყენებს ახალ მიდგომას და სტრატეგიული გეგმის სამოქმედო პრინციპად განიხილავს ყველასთვის თანაბარ, ინკლუზიურ საარჩევნო გარემოს ხელშეწყობას, რომელიც გულისხმობს საქმიანობაში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები, ქალები) საჭიროებების შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებას.

დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა სტრუქტურული ცვლილებები ცესკოს აპარატში. ეს ცვლილებები განაპირობებს სტრუქტურის ოპტიმიზაციას საარჩევნო ადმინისტრაციის საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინსტიტუციის განვითარებას, თანამშრომელთა საქმიანობებში ჩართულობის ხარისხის ზრდასა და მართვის ეფექტიანობას.

2026 წელს, წინამდებარე სტრატეგიული გეგმის მოქმედების დასრულების შემდეგ, საარჩევნო ადმინისტრაცია იქნება რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე ინსტიტუცია, რომელიც ინოვაციური მიდგომებით და ტექნოლოგიური განვითარებით გაზრდის ამომრჩეველთა ნდობას საარჩევნო პროცესის მიმართ.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

სტრატეგიული გეგმა შემუშავდა ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 24 ოქტომბრის №01-124 ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის[1] (სამუშაო ჯგუფი) მიერ.

სამუშაო ჯგუფი დაეყრდნო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესს[2] და საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება – სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულობისთვის გადამზადდნენ ცესკოს აპარატისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლები (135), ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები (339).

არსებული გარემოს შეფასება – გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: სამაგიდო კვლევა, ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, SWOT ანალიზი და პრობლემების ხე.

სამაგიდე კვლევის დროს ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების შედეგების, 2021 წელს გამართული მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა[3] და სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების ანალიზი. აგრეთვე შესწავლილ იქნა საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციის დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების მონაცემები.

---

1. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: სამი დეპარტამენტის უფროსი, სამი განყოფილების უფროსი, სწავლების ცენტრის ერთი სამსახურის უფროსი, ცესკოს აპარატის სამი თანამშრომელი, ხუთი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ერთი თავმჯდომარის მოადგილე.

2. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის №629 დადგენილება.

3. საარჩევნო ადმინისტრაციამ შეისწავლა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს სადამკვირვებლო მისიების ანგარიშები და რეკომენდაციები.

სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით ჩატარდა ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცესკოს აპარატისა (107) და სწავლების ცენტრის (21) თანამშრომლებმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა (349), საერთაშორისო (4) და ადგილობრივი (23) არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების (11) წარმომადგენლებმა.

დამუშავებული ინფორმაციისა და ცესკოს აპარატსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტენსიური შეხვედრების შედეგად, განისაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (SWOT ანალიზი).

თანამშრომლებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით გამოვლინდა პრობლემები (პრობლემების ხე).

ლოგიკური ჩარჩოს შექმნა – არსებული გარემოს შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა სტრატეგიული გეგმის ლოგიკური ჩარჩო, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებულ რისკებს, აგრეთვე, გავლენისა და ამოცანების შედეგის ინდიკატორებს (დანართი N1).

მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება – სტრატეგიული გეგმის შემუშავების ახალმა მიდგომებმა გააჩინა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის განახლების საჭიროება. შეიქმნა სიტუაციის ანალიზის ჩატარების, ლოგიკური ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუქციები, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.

ლოგიკური ჩარჩოს პროექტი წარედგინათ ცესკოს წევრებს, აპარატისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებს, ასევე, ცესკოში შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ პირთა) და ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფების წევრებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ ექსპერტებს.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა ცესკომ 2023 წლის 6 თებერვლის N 9/2023 განკარგულებით დაამტკიცა. სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულების პროცესის გაზომვისა და შეფასებისთვის, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით მტკიცდება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №9/2023

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე

ქ. თბილისი 2023 წლის 6 თებერვალი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14-ე მუხლის პირველი პუნქტის „ხ" ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

II. სამართლებრივი ჩარჩო

საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს შემდეგი კანონმდებლობით:

- ✓ საქართველოს კონსტიტუცია
- ✓ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
- ✓ საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“
- ✓ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
- ✓ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“
- ✓ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- ✓ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

2022 წლის 22 დეკემბერს საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული მასშტაბური ცვლილებების თანახმად,

- ➢ გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლება აირჩნენ/დაინიშნონ საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად, ასევე, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივ დამკვირვებლებად;
- ➢ დამკვირვებელ ორგანიზაციებს მიენიჭათ უფლება არასაარჩევნო პერიოდშიც დაესწრონ საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- ➢ დადგინდა საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების სავალდებულო სერტიფიცირება;
- ➢ 3 კალენდარულ დღემდე გაიზარდა საოლქო საარჩევნო კომისიაში საუბნო საარჩევნო კომისიის და ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა;
- ➢ შემცირდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების/დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადები;
- ➢ შეიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი – საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს – ცესკო;

- განისაზღვრა არჩევნების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების ვალდებულება; ცესკოს განკარგულებით უნდა განისაზღვროს საარჩევნო ოლქების/უბნების ჩამონათვალი, რომელიც დაფარავს საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 70%;
- გაიზარდა პასუხისმგებლობის ზომა წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის. ასევე, გაიზარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა;
- შემცირდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიული სიით წარსადგენ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა, რომელიც არ უნდა იყოს 60-ზე ნაკლები;
- შემცირდა, საკრებულოს არჩევნების შემთხვევაში, პარტიული სიით წარსადგენ საკრებულოს წევრობის კანდიდატთა მინიმალური რაოდენობა, რომელიც არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ საკრებულოს წევრთა რაოდენობის ორ მეხუთედზე ნაკლები;
- შემცირდა საკრებულოს წევრად და მერად ასარჩევი კანდიდატის საქართველოში ცხოვრების მინიმალური ცენზი და იგი განისაზღვრა სულ ცოტა 6 თვის ვადით;
- 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებსა და შემდგომში გასამართ არჩევნებში ამომრჩევლებს ხმის მიცემის შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის (ID-ბარათის) ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის შემთხვევაში;
- 2026 წლის 1 იანვრამდე გაიზარდა არჩევნებში იმ ამომრჩევლის მონაწილეობის დროებითი წესის მოქმედების ვადა, რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან, ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით, ან რომელიც რეგისტრირებული მისამართის მითითების გარეშე მოქმედებს;
- 2026 წლის 1 იანვრამდე გაიზარდა არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის დროებითი წესის მოქმედების ვადა.

III. სიტუაციის მიმოხილვა

2020-2023 სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები, ასევე, ოთხი შუალედური და ერთი რიგგარეშე არჩევნები. მნიშვნელოვანია, რომ 2020 და 2021 წლებში არჩევნების ადმინისტრირება წარმატებით განხორციელდა პანდემიის პირობებში, რაც დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ.[4]

სიტუაციის შეფასების შედეგად, 2022 წლის მდგომარეობით, გამოიკვეთა პროგრესი შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ ცესკომ წარმატებით გაიარა საკონტროლო აუდიტი არჩევნების მართვის სფეროში და შეინარჩუნა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის – ISO 9001:2015 სერტიფიკატი.
- ✓ საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას, ასევე, საქმიანობის გამჭვირვალობისთვის, რეგულარულად წარუდგენს ანგარიშებს ჩართულ მხარეებს.
- ✓ ადმინისტრაციას შექმნილი აქვს თანამშრომლობის ფორმატები ჩართულ მხარეებთან, სადაც წარადგენს ინფორმაციას საქმიანობის შესახებ და იღებს უკუკავშირს.
- ✓ საზოგადოების სწორად ინფორმირების მიზნით მოქმედებს დეზინფორმაციის გავრცელების მონიტორინგისა და რეაგირების სისტემა.
- ✓ არჩევნების მართვის მიზნით, დანერგილია ელექტრონული სისტემა „არმასი“, რომლის საშუალებით ხორციელდება საარჩევნო ინფორმაციის მიმოცვლა ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს შესაძლებლობა აქვთ ონლაინ დანიშნონ/შეცვალონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, ასევე წარმომადგენლები, ხოლო სხვა საარჩევნო სუბიექტებს – მხოლოდ წარმომადგენლები. ონლაინ რეგისტრაციის საშუალება აქვთ ადგილობრივ, საერთაშორისო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

---

4. „საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესის ტექნიკურ ასპექტებს წარმატებით გაართვა თავი და დაიცვა კანონით დადგენილი ყველა ვადა COVID-19-ის პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ აუცილებელი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.“ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო – მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ.

საარჩევნო ადმინისტრაციამ მომხმარებლებს შესთავაზა ვებსერვისები, რომელიც დადებითად შეფასდა მომხმარებლების მიერ. კერძოდ,

- არჩევნების შედეგების ვებგვერდი (https://results.cec.gov.ge/)
- ამომრჩეველთა ერთიანი სიის ვებგვერდი (https://voters.cec.gov.ge/)
- საჩივრების რეესტრი (https://sachivrebi.cec.gov.ge/)
- საჩივრების ელექტრონულად წარდგენის ონლაინ სისტემა (https://elsa-chivrebi.cec.gov.ge/?fbclid=IwAR2t2SizuSurY1iTCE6zlN_lsYO5ZZGUX81TizL6x0-jVz-pQPQKQw3p1ISU)
- სასამართლოს განჩინება სხდომის დანიშვნისა და მესამე პირების ჩაბმის პროგრამა (https://ganchineba.cec.gov.ge/)
- კონკურსებში განცხადების ელექტრონულად წარდგენის პლატფორმა (https://konkursi.cec.gov.ge/)
- ელექტრონული კანცელარია (https://publicinfo.cec.gov.ge/)
- ელექტრონული სასწავლო პლატფორმა (https://electiontraining.cec.gov.ge/)

საარჩევნო ადმინისტრაციამ, საპილოტე პროექტების ფარგლებში, ცალკეულ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის დღეს გამოიყენა ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ადმინისტრაციის მიერ გამოკითხულ ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტმა დადებითად შეაფასა.

არჩევნებში თანაბარი და დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის განვითარდა შეთავაზებული სერვისები შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის შეიქმნა გენდერული პორტალი, სადაც განთავსდა საარჩევნო ინფორმაცია გენდერულ ჭრილში.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა დანერგა საგანმანათლებლო/საინფორმაციო პროგრამები ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის. ინფორმაცია პროგრამებისა და მონაწილეთა რაოდენობის შესახებ იხილეთ ცხრილებში (1), (2) და დიაგრამა (1).

ცხრილი 1.

პროგრამის დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა			
	2020	2021	2022	სულ
არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი	0	4130	5886	10016
საარჩევნო სამართალი	370	357	445	1172
საარჩევნო განვითარების სკოლა	578	141	62	781
ახალგაზრდული ბანაკები	148	168	224	540

ცხრილი 2.

მიზნობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა	
	2020	2021
დამკვირვებელი ორგანიზაციები	29 ორგანიზაციის 45 წარმომადგენელი	14 ორგანიზაციის 31 წარმომადგენელი
საარჩევნო სუბიექტები	15 სუბიექტის 20 წარმომადგენელი	17 სუბიექტის 43 წარმომადგენელი
მედია ორგანიზაციები	21 ორგანიზაციის 25 წარმომადგენელი	31 ორგანიზაციის 43 წარმომადგენელი
პენიტენციური დაწესებულები	-	10 დაწესებულების 11 წარმომადგენელი
პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი ქალები	8 პარტიის 26 წარმომადგენელი ქალი	12 პარტიის 29 წარმომადგენელი ქალი

დიაგრამა 1.



სიტუაციის ანალიზის შედეგად სამუშაო ჯგუფმა გამოკვეთა მართვის გაუმჯობესების, კვალიფიკაციის ამაღლების, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელების პრევენციის, საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურის გამართვის საჭიროებები.

აგრეთვე, ფართომასშტაბიანი გამოკითხვისა და ჩატარებული შეხვედრების შედეგად განისაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (SWOT ანალიზი).

სიტუაციის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანების, ასევე განისაზღვრა ამოცანების რისკები.

IV. სტრატეგიული ხედვა და სამოქმედო პრინციპები

სტრატეგიული ხედვა
ჩვენ ვატარებთ თავისუფალ, გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს, რომელსაც ენდობიან საქართველოს მოქალაქეები.

სამოქმედო პრინციპები

გამჭვირვალობა	საქმიანობის ღიაობა, საჯაროობა და ინფორმაციის მისაწვდომობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე
პროფესიონალიზმი	კომპეტენტური და პასუხისმგებლიანი საარჩევნო მოხელეების ძალისხმევით საარჩევნო პროცესის სანდოდ და სამართლიანად წარმართვა
ინკლუზიურობა	ყველასათვის თანაბრად მისაწვდომი გარემოს შექმნა და საქმიანობაში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება
ინოვაციურობა	სიახლეებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვა საარჩევნო პროცესებში
თანამშრომლობა და ჩართულობა	პარტნიორული ურთიერთობების განვითარება საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან
დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	კანონზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება

V. სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება

საარჩევნო გარემოს განვითარება აუცილებელი ფაქტორია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გასაძლიერებლად. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო გარემოს ერთ-ერთი მონაწილეა და გაუმჯობესება მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული, მნიშვნელოვანია, რომ მან საკუთარი წვლილი შეიტანოს შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში.

სტრატეგიული გეგმის პირველი პრიორიტეტი – **საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება** გულისხმობს საზოგადოებასთან კომუნიკაციის მექანიზმების განვითარებასა და სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობას. აღნიშნული მიმართულებით ადმინისტრაცია განაახლებს კომუნიკაციის სტრატეგიას და განახორციელებს ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ამომრჩეველთა ყველა ჯგუფისთვის. ასევე, გააძლიერებს თანამშრომლობის ფორმატებს პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან, საარჩევნო საკითხების ექსპერტებსა და მედია ორგანიზაციებთან. ხელს შეუწყობს საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და განახორციელებს სასწავლო პროგრამებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის.

სამართალწარმოების პროცესის განვითარებისთვის უზრუნველყოფს საარჩევნო დავების გადაწყვეტის პრაქტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას. აღნიშნული მიმართებით ადმინისტრაცია განაახლებს დავების სახელმძღვანელოს, გადაამზადებს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს, შეისწავლის საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და მოამზადებს საკანონმდებლო წინადადებებს პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.

სტრატეგიული პრიორიტეტი **საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება** მოიცავს ორ მიზანსა და ხუთ ამოცანას.

მიზანი 1. საზოგადოების ინფორმირება და განათლება	**ამოცანა 1.1.** საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება **ამოცანა 1.2.** ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ **ამოცანა 1.3.** ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება
მიზანი 2. სამართალწარმოების პროცესის განვითარება	**ამოცანა 2.1.** საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება **ამოცანა 2.2.** სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება

სტრატეგიული პრიორიტეტი 2. ინსტიტუციური გაძლიერება

საკანონმდებლო ცვლილებებით წარმოშობილი ახალი ვალდებულებების შესრულება, რომელიც გულისხმობს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სავალდებულო სერტიფიცირებას, ასევე, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისთვის საჭირო ადამიანური რესურსების მოზიდვასა და მომზადებას, მოითხოვს საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციულ მზაობას, მართვის ხარისხის გაუმჯობესებასა და საარჩევნო მოხელეთა პროფესიონალიზმს. ეფექტიანი, პროფესიონალი, კვალიფიციური და მიუკერძოებელი ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაცია კარგი საარჩევნო გარემოს შექმნის აუცილებელი ფაქტორია.

სტრატეგიული გეგმის მეორე პრიორიტეტი **ინსტიტუციური გაძლიერება** გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის მართვის ეფექტიანობის ზრდასა და ადამიანური რესურსების გაძლიერებას. აღნიშნული მიმართულებით ადმინისტრაცია განაახლებს ცესკოს აპარატის საქმიანობის ბიზნეს პროცესებს, გააუმჯობესებს თანამშრომელთა შეფასებისა და შიდა კომუნიკაციის სისტემებს, შეიმუშავებს კრიზისული სიტუაციის მართვის მექანიზმსა და უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის აღსრულებას. ასევე, დანერგავს მართვის ელექტრონულ ინსტრუმენტებს. საარჩევნო ადმინისტრაცია, ადამიანური რესურსების გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფს საარჩევნო მოხელეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზებას როგორც ცესკოს აპარატის თანამშრომლების, ისე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის გაზრდისთვის უზრუნველყოფს სერტიფიცირების გამოცდების ორგანიზებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სტრატეგიული პრიორიტეტი **ინსტიტუციური გაძლიერება** მოიცავს ორ მიზანსა და ოთხ ამოცანას.

მიზანი 3. მართვის ეფექტიანობის ზრდა	**ამოცანა 3.1.** მართვის ხარისხის გაუმჯობესება **ამოცანა 3.2.** მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება
მიზანი 4. საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება	**ამოცანა 4.1.** ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება **ამოცანა 4.2.** საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა

სტრატეგიული პრიორიტეტი 3. ტექნოლოგიური განვითარება

2024 წლიდან არჩევნები ტექნოლოგიური საშუალებების, კერძოდ, ხმის მთვლელი და ვერიფიკაციის ელექტრონული აპარატების გამოყენებით უნდა ჩატარდეს. ცესკოს განკარგულებით უნდა განისაზღვროს იმ საარჩევნო ოლქების/საარჩევნო უბნების ჩამონათვალი, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება. აღნიშნული საარჩევნო ოლქები/საარჩევნო უბნები ისე უნდა შეირჩეს, რომ ამ საარჩევნო ოლქებმა/საარჩევნო უბნებმა საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტი მოიცვას.

სტრატეგიული გეგმის მესამე პრიორიტეტი **ტექნოლოგიების განვითარება** გულისხმობს კენჭისყრის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასა და ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის ელექტრონული სერვისების განვითარებას. აღნიშნული მიმართულებით ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაციას საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან და საარჩევნო ოპერაციების, საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენისა და ლოგისტიკის ბიზნეს პროცესების აღწერას. ასევე, შესაბამისი მოცემულობის შემთხვევაში, მოახდენს ტექნოლოგიების გამოყენებას შუალედურ თუ სხვა მცირე სახეობის არჩევნებზე და ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას.

სტრატეგიული პრიორიტეტი **ტექნოლოგიური განვითარება** მოიცავს ორ მიზანსა და ოთხ ამოცანას.

მიზანი 5. საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან	**ამოცანა 5.1.** საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია
მიზანი 6. ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში	**ამოცანა 6.1.** კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით **ამოცანა 6.2.** ელექტრონული სერვისების განვითარება **ამოცანა 6.3.** ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა

VI. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელება
საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობის დაგეგმვას, ანგარიშგებასა და მონიტორინგს ახორციელებს დამტკიცებული წესის საფუძველზე. წესის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ინსტრუმენტია ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელ აქტივობებს შეიმუშავებენ ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და სწავლების ცენტრი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ისეა შედგენილი, რომ აქტივობების შესრულება განაპირობებს ამოცანების შესრულებას, ხოლო ამოცანების შესრულება უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას.

სტრატეგია განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების შესაძლო ფინანსური მხარდაჭერით.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებისა და შეფასებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესი განსაზღვრავს შესაბამის პროცედურას.

ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და სწავლების ცენტრი ცესკოს თავმჯდომარეს კვარტლის დასრულებისთანავე წარუდგენენ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსანგარიშს, შესაბამისი ინდიკატორების შესრულების მითითებით.

მონიტორინგის პროცესი ითვალისწინებს ცესკოს სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის მიერ ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის კვარტალური სტატუსანგარიშების კონსოლიდაციას და ცესკოს წევრებისთვის წარდგენას. ასევე, წლიური ანგარიშის მომზადებას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულების შესახებ.

სტრატეგიული გეგმის შეფასება განხორციელდება მიზნებისა და გავლენის ინდიკატორების, ასევე ამოცანებისა და შედეგის ინდიკატორების დონეზე.

სტრატეგია გათვლილია ოთხ წელზე და დაგეგმილია ერთი შუალედური შეფასება 2025 წელს, ხოლო საბოლოო შეფასება განხორციელდება 2026 წელს. სტრატეგიული გეგმის საბოლოო შეფასების მიზანია მიღწეული შედეგების გაზომვა და შემდგომი წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის საფუძვლის მომზადება.

მონიტორინგისა და შეფასების კალენდარი

მონიტორინგისა და შეფასების ფორმა	ანგარიშების თარიღი/ პერიოდულობა
პროგრეს ანგარიში	2023 წლის I-IV კვარტალი 2024 წლის I-IV კვარტალი 2025 წლის I-IV კვარტალი 2026 წლის I-IV კვარტალი
წლიური ანგარიში	2024 წლის I კვარტალი 2025 წლის I კვარტალი 2026 წლის I კვარტალი 2027 წლის I კვარტალი
შუალედური შეფასება	2025 წლის II კვარტალი
საბოლოო შეფასება	2026 წლის IV კვარტალი

ხარისხის პოლიტიკა

ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების მოლოდინების შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაცია მანდატის ფარგლებში, საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას ყოველწლიური აქტივობების მეშვეობით. ამოცანებისა და აქტივობების შეფასება ხორციელდება თვლადი (სტატისტიკური მონაცემები) შედეგის ინდიკატორების, ხოლო მიზნების – გავლენის ინდიკატორების (კვლევები, სერვისების ბენეფიციარების შეფასებები) მეშვეობით. მიზნისა და ამოცანის ინდიკატორებს გააჩნიათ არსებული მდგომარეობისა და პროგრესის გაზომვადი მაჩვენებლები.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო

ხედვა	ჩვენ ვატარებთ თავისუფალ, გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს, რომელსაც ენდობიან საქართველოს მოქალაქეები					
სტრატეგიული პრიორიტეტი	**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება**					
მიზანი 1:	**საზოგადოების ინფორმირება და განათლება**					
გავლენის ინდიკატორი 1.1:	საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ინფორმირების კამპანიების შეფასება ამომრჩეველთა მიერ		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2022	2024	2026	1. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანგარიში
		მაჩვენებელი	0	1	1	
ამოცანა 1.1:	**საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:	თანამშრომლობის ფორმატების შეფასება ჩართული მხარეების (პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები) მიერ		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2022	2024	2026	1. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანგარიში 2. გამოკითხვის შედეგების ანგარიში
		მაჩვენებელი	56%	61%	68%	
რისკი:	ჩართული მხარეების (პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები) დაინტერესების ნაკლებობა თანამშრომლობისთვის შეთავაზებული ფორმატების მიმართ					
ამოცანა 1.2:	**ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:	ინფორმირებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა (მათ შორის შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის)		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2021	2024	2026	1. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	14* * ცესკოს ვებგვერდი; სოციალური ქსელები; ცესკოს ბრიფინგები; სარეკლამო რგოლები საჯარო ადგილები; საინფორმაციო პოსტერი; ფლაერი; ცესკოს კონტაქტ-ჰაბი; პირდაპირი კომუნიკაციის ჩართულ მხარეებთან; ვიდეო ინსტრუქცია საარჩევნო უბნებზე; ტელევიზია; რადიო; ბეჭდური მედია; საინფორმაციო საagენტოების გვერდები; გარე ბანერები.	14	14	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2:	საინფორმაციო ღონისძიებების რაოდენობა (მათ შორის მაღალმთიანი რეგიონების, შშმ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის)		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2021	2024	2026	1. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ანგარიში 2. სწავლების ცენტრის ანგარიში
		მაჩვენებელი	338* * მათ შორის 44 ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში, "ვესაუბრებით ამომრჩეველს" ფარგლებში			
რისკი:	საზოგადოების დაბალი ინტერესი საინფორმაციო ღონისძიებების მიმართ					

ამოცანა 1.3:	ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:	საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა უმეტესობის დადებითი შეფასება		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2022	2024	2026	1. სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
		მაჩვენებელი	1	1	1	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.2:	საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2022	2024	2026	1. სწავლების ცენტრის ანგარიში 2. სამუშაო ჯგუფების ანგარიშები
		მაჩვენებელი	27021	2022 წლის მაჩვენებელს +5%	2024 წლის მაჩვენებელს +5%	
რისკი:	მიზნობრივი ჯგუფების დაბალი ინტერესი საინფორმაციო/სასწავლო პროგრამების მიმართ					
მიზანი 2:	სამართალწარმოების პროცესის განვითარება					
გავლენის ინდიკატორი 2.1:	სასამართლოს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ძალაში დატოვების მაჩვენებელი		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. იურიდიული დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	87%	90%	90%	
ამოცანა 2.1:	საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:	საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1.OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის ანგარიში
		მაჩვენებელი	2	1	1	
რისკი:	საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეკომენდაციების არაერთგვაროვანი გათვალისწინება					
ამოცანა 2.2:	სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:	საარჩევნო პროცედურების დაზუსტებისთვის ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. იურიდიული დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	34	40	40	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2:	ცესკოს მიერ საკანონმდებლო ორგანოში წინადადებების წარდგენა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. იურიდიული დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	1	1	1	
რისკი:	ცესკოს მიერ წარდგენილი წინადადებების გაუთვალისწინებლობა საკანონმდებლო ორგანოს მიერ					

სტრატეგიული პრიორიტეტი	**ინსტიტუციური გაძლიერება**					
მიზანი 3:	**მართვის ეფექტიანობის ზრდა**					
გავლენის ინდიკატორი 3.1:	მართვის ხარისხის სტანდარტი (ISO) შენარჩუნება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2021	2024	2026	1. ISO სერტიფიკატი
		მაჩვენებელი	1	1	1	
გავლენის ინდიკატორი 3.2:	არჩევნების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის დადებითი შეფასება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2021	2024	2026	1.OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის ანგარიში
		მაჩვენებელი	1	1	1	
ამოცანა 3.1:	**მართვის ხარისხის გაუმჯობესება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:	თანამშრომლების მიერ მართვის ინსტრუმენტების შეფასება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2022	2024	2026	1. გამოკითხვის შედეგების ანგარიში
		მაჩვენებელი	0	1	1	
რისკი:	არასაკმარისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი					
ამოცანა 3.2:	**მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:	მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2022	2024	2026	1. სტრატეგიული დაგეგმვის და ანგარიშგების დეპარტამენტის ანგარიში 2. ცესკოს მდივნის აპარატის (დეპარტამენტი) ანგარიში 3. ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	0	2	3	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2:	პროგრამების შეფასება მომხმარებელთა მიერ		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2022	2024	2026	1. გამოკითხვის შედეგების ანგარიში
		მაჩვენებელი	0	1	1	
რისკი:	არასაკმარისი ფინანსური რესურსები					
მიზანი 4:	**საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება**					
გავლენის ინდიკატორი 4.1:	სერტიფიცირებული პირებით სრულად დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2022	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	0			
გავლენის ინდიკატორი 4.2:	საუბნო საარჩევნო კომისიების კონკურსებში მონაწილე პირთა რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო:**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2022	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი				

ამოცანა 4.1:	ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:	კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2022	2024	2026	1. იურიდიული დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	522	490	460	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.2:	საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმების რაოდენობა რომელსაც დასჭირდა შესწორების ოქმები		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2020/2021	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	2020 პროპორციული საუბნო 507; მაჟორიტარული საუბნო 584; მაჟორიტარული მეორე ტური 72. საოლქო პროპორციული 4, საოლქო მაჟორიტარული 1. მაჟორიტარული მეორე ტური 0 2021 ადგილობრივი პროპორციული საუბნო 239; ადგილობრივი მაჟორიტარული საუბნო 187; ადგილობრივი მერი საუბნო 144. საოლქოს პროპორციული 3, საოლქოს მაჟორიტარული 4.			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.3:	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგის ეფექტიანობა შეფასებულია		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2022	2024	2026	1. ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	0	1	1	
რისკი:	• საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი • საუბნო საარჩევნო კომისიების გადამზადებული წევრების შეცვლა პოლიტიკური პარტიების მიერ					
ამოცანა 4.2:	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1:	სერტიფიცირებულ პირთა კუმულატიური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით (1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირება; 2. საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირება 3. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სერტიფიცირება)		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2022	2024	2026	1. სწავლების ცენტრის ანგარიში 2. საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	1. 2075 2. 0 3. 0	1. 2022 წლის მაჩვენებელს +2% 2. 2023 წლის მაჩვენებელს +2% 3. 2023 წლის მაჩვენებელს +2%	1. 2024 წლის მაჩვენებელს +1% 2. 2024 წლის მაჩვენებელს +1% 3. 2024 წლის მაჩვენებელს +1%	
რისკი:	მოქალაქეების დაბალი ინტერესი სერტიფიცირების გამოცდების მიმართ					
სტრატეგიული პრიორიტეტი	ტექნოლოგიური განვითარება					
მიზანი 5:	საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან					
გავლენის ინდიკატორი 5.1:	ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის დადებითი შეფასება		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1.OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის ანგარიში
		მაჩვენებელი	0	1	1	

ამოცანა 5.1:	საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1:	ჩატარებული არჩევნების შეფასება		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	0	1	1	
რისკი:	არჩევნებთან ახლო ვადაში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები					
მიზანი 6:	ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში					
გავლენის ინდიკატორი 6.1:	არჩევნების წინასწარი შედეგების გასაჯაროების დრო		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	საარჩევნო უბნის დახურვიდან 11 საათი	საარჩევნო უბნის დახურვიდან 6 საათი	საარჩევნო უბნის დახურვიდან 6 საათი	
გავლენის ინდიკატორი 6.2:	ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის დადებითი შეფასება		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1.OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის ანგარიში
		მაჩვენებელი	0	1	1	
ამოცანა 6.1:	კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1:	საარჩევნო უბნების რაოდენობა სადაც გამოყენებული იყო ტექნოლოგიები		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	0			
რისკი:	პროგრამული უზრუნველყოფის საარჩევნო ადმინისტრაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა					
ამოცანა 6.2:	ელექტრონული სერვისების განვითარება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.1:	სერვისების რაოდენობა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	7 (საარჩევნო სუბიექტები (2); საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები (1); ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები (1); მედია ორგანიზაციები (1); ამომრჩევლები (1); საარჩევნო ადმინისტრაციის პოტენციური მოხელეები (1)	10	10	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.2:	მიზნობრივი ჯგუფების მიერ სერვისები შეფასება		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. გამოკითხვის შედეგის ანგარიში
		მაჩვენებელი	1	1	1	
რისკი:	კიბერშეტევა საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონულ სერვისებზე					

ამოცანა 6.3:	ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.3.1:	ელექტრონული მოწყობილობებით (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) აღჭურვილი საარჩევნო უბნების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2022	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	0			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.3.2:	ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მისაწვდომი საარჩევნო უბნების წილი საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობაში		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო:
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2021	2024	2026	1. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ანგარიში
		მაჩვენებელი	23%	30%	35%	
რისკი:	შესაბამისი საჭიროებების მქონე შენობა-ნაგებობების სიმცირე					

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა